

შპს

„პიტსტოპ პეტროლეუმ“ – ის

(სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი იანეთი)

ავტოგასამართი სადგურის მოწყობა -ექსპლოატაციის სკრინინგის
ანგარიში

„შემსრულებელი“

თეიმურაზ კონცელიძე

სპს „ეკომპექსი“-ს დირექტორი

სერტიფიკატი ELEC/00158

teimuraz-1955@mail.ru

tel. 577 25 29 19; 568 74 12 64

ს ა რ ზ ე ვ ი

1. შესავალი	2
2. საკანონმდებლო ასპექტები.....	3
2.1. საქართველოს გარემოსდაცვითი ასპექტები.....	4
3. დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა	5
3.1. დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა	5
3.2. საწარმოს განთავსების ტერიტორიის დახასიათება.....	6
3.3. ინფორმაცია საქმიანობის განსახორციელებელი ადგილის შესახებ -გარემოს ფონური მდგომარეობა და ზემოქმედების რისკები.....	7
4. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	8
4.1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ხმაური.....	8
4.1.1. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში დიზელის საწვავის რეალიზაციისას.....	10
4.1.2. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში ბენზინის რეალიზაციისას.....	11
4.1.3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში თხევადი გაზის რეალიზაციისას.....	11
4.2. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება.....	13
4.3. ზემოქმედება წყლის გარემოზე.....	15
4.4. ჩამდინარე წყლების არინება.....	16
4.5. სალექარის დახასიათება.....	17
5. ნარჩენების მართვა.....	17
6. კუმულაციური ზემოქმედება.....	20
7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.....	20
8. მოსალოდნელი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე.....	21
9. მოკლე რეზიუმე.....	21
10. ლიტერატურა.....	22
11. დანართები.....	23

1. შესავალი

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში ეხება შპს „პიტსტოპ პეტროლეუმ“-ის მიერ ავტოგასამართი სადურის მოწყობა-ექსპლოატაციის პროექტს.

შპს „პიტსტოპ პეტროლეუმ“-ის მიერ ავტოგასამართი სადურის საქმიანობა გათვალისწინებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. იანეთში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4214 მ² ფართის, შპს „გაზ ჯორჯიან“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №34.07.47.159)

საპროექტო საწარმოს დაგეგმილი აქვს წლიურად რეალიზაცია გაუკეთოს 100000 ლიტრ ბენზინს, 1000000 ლიტრ დიზელის საწვავს და 300 ტონა თხევად გაზს.

ვინაიდან საქართველოს კანონის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-6 პუნქტის 6.3. ქვეპუნქტის თანახმად, ნავთობისა დანავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობადა ექსპლუატაცია წარმოადგენს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას, კომპანიის მიერ, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავებულ იქნა დაგეგმილ საქმიანობაზე სკრინინგის ანგარიში.

საპროექტო საწარმოს მოცემულ ტერიტორიაზე განთავსებისათვის კომპანიის ადმინისტრაციასა და შპს „გაზ ჯორჯიან“-ს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, (იჯარის ხელშეკრულება თანდართულია), რის საფუძველზე კომპანია „გაზ ჯორჯიან“-მა გადასცა მეორე მხარეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთის ტერიტორიაზე (ს/კოდი 34.07.47.159) არსებული ავტოგაზგასამართი სადურის გარკვეული ნაწილი, 500 მ² ფართობი, განთავსებული 4214 მ² მიწის ნაკვეთზე ზემოთხსენებულ მისამართზე.

რაც შეეხება ავტოგაზგასამართი სადურის ფუნქციონირებას, მისი ფუნქციონირება თარიღდება 2014 წლიდან და მისი დანიშნულებაა ბუნებრივი აირით ავტოტრანსპორტის გამართვა.

შპს „გაზ ჯორჯიან“-ს 2020 წლის 26 მარტს შედგენილი და სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

მიმდინარე პერიოდისათვის საპროექტო ტერიტორიაზე საქმიანობის განმახორციელებელი ახალი კომპანია-შპს „პიტსტოპ პეტროლეუმ“-ი გეგმავს არსებული საწარმოს რეკონსტრუქციას, კერძოდ, ბუნებრივი აირის სარეალიზაციო ტერიტორიაზე, გარკვეულ ნაწილზე, მოაწყოს და ექსპლოატაციაში გაუშვას თხევადი საწვავების (ბენზინი, დიზელი და თხევადი გაზი) სარეალიზაციო უბნები, რომლის დანიშნულება იქნება თხევადი საწვავების შემოტანა, საწარმოს საცავებში განთავსება და საცალოდ რეალიზაცია.

საქმიანობის განმხორციელებელი შპს „პიტსტოპ პეტროლეუმ“-ის და სკრინინგის ანგარიშის შემმუშავებელი, სპს „ეკოიმპექსი“-ს ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

შპს „პიტსტოპ პეტროლეუმ“-ის და სპს „ეკოიმპექსი“-ს შესახებ ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი	შპს „პიტსტოპ პეტროლეუმ“ (ს/კოდი 445606844)
იურიდიული მისამართი	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. N 76
ფაქტიური მისამართი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. იანეთი
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. იანეთი
საქმიანობის სახე	ბუნებრივი და თხევადი საწვავების (თხევადი გაზი, დიზელის საწვავი, ბენზინი) საცალოდ რეალიზაცია
გამომშვებული პროდუქციის სახეობა	-
საპროექტო წარმადობა	წლიურად რეალიზებული: დიზელის საწვავი- 1000000 ლ; ბენზინი- 1000000 ლ. და თხევადი გაზი 300 ტ.
ნედლეულის სახელობა და ხარჯი	-
შპს „პიტსტოპ პეტროლეუმ“ -ის დირექტორი	გიორგი გათენაძე
ელექტრონული ფოსტა	pitstoppetroleum@gmail.com
საკონტაქტო ტელეფონი	(+995) 574020504
საკონსულტაციო ფირმა	სპს „ეკოიმპექსი“
სპს „ეკოიმპექსი“-ს დირექტორი	თეიმურაზ კონცელიძე
ელექტრონული ფოსტა	Temuri.koncelidze55@gmail.com
საკონტაქტო ტელეფონი	(+995) 577252919

2. საკანონმდებლო ასპექტები

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს (მუხლი 37) ქვეყნის ყველა მოქალაქის უფლებას ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული სიმდიდრით და ამავე დროს, აკისრებს ვალდებულებას დაიცვას იგი. კონსტიტუციით, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს მეწარმე/საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია: მიიღოს სათანადო ზომები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად; დაიცვას ბიომრავალფეროვნება შეუქცევადი დეგრადაციისგან და აღადგინოს საქმიანობის განხორციელების შედეგად დეგრადირებული გარემო პირვანდელ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით.

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოიცავს კონსტიტუციას, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის კანონებს, საერთაშორისო კონვენციებს და შეთანხმებებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებებს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, უწყებრივ ინსტრუქციებს და ბრძანებებს, მეთოდურ რეგულაციებს და სხვა.

2.1. საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები

წინამდებარე ანგარიშის დამუშავების პროცესში გარემო ობიექტების (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებული გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა წარმოდგენილია ცხრილში 2.1.1.

ცხრილი 2.1.1. გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა

მიღების თარიღი		
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №435 დადგენილებით.	300160070.10.003.017660
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №408 დადგენილებით.	300160070.10.003.017622
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №414 დადგენილებით.	300160070.10.003.017621
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №425 დადგენილებით.	300160070.10.003.017650
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით.	300160070.10.003.017640

31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით.	300160070.10.003.0 17647
06/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №42 დადგენილებით.	300160070.10.003.0 17588
03/01/2014	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი - დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით.	300160070.10.003.0 17608
15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - სასმელი წყლის შესახებ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №58 დადგენილებით.	300160070.10.003.0 17676
11/08/2015	საქართველოს მთავრობის №422 დადგენილება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“	360100000.10.003.0 18808
17/08/2015	საქართველოს მთავრობის №426 დადგენილება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“	300230000.10.003.0 18812
04/08/2015	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №211 ბრძანებით დამტკიცებული „კომპანის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი“	360160000.22.023.0 16334
29/03/2016	ტექნიკური რეგლამენტი - "სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნები" დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის #145 დადგენილებით.	360160000.10.003.0 19210
15/08/2017	ტექნიკური რეგლამენტი – „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ .	300160070.10.003.0 20107

3. დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა

3.1. დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა

შპს „პიტსტოპ პეტროლუმ“-ის მიერ ავტოგასამართი სადგურის დაგეგმილი საქმიანობა გათვალისწინებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. იანეთში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, შპს „გაზ ჯორჯიან“-ის საკუთრებაში არსებულ ავტოგაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, ავტოგაზგასამართი სადგურის რეორგანიზაციისა და რეკონსტრუქციის ჩატარების შემდეგ .

მოცემულ მიწის ნაკვეთის კუთხეთა წვეროების გეოგრაფიული კოორდინატები მოცემულია ცხრილში 3.1.1

ცხრილი 3.1.1. მიწის ნაკვეთის კუთხეთა წვეროების გეოგრაფიული კოორდინატები

წერტ. N	X	Y
1	286303,65	4671909,24
2	286304,18	4671794,05
3	286257,23	467189,38
4	286242,70	4671845,80
5	286227,32	4671850,30
6	286223,72	46718995,01

3.2. საწარმოს განთავსების ტერიტორიის დახასიათება

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო საწარმოს განთავსება დაგეგმილია სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფ. იანეთის ტერიტორიაზე შპს „გაზ ჯორჯიან“-ის კუთვნილი ავტოგაზგასამართი სადგურის კუთვნილ ტერიტორიაზე 500 მ² ფართობზე. ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (JPS-კოორდინატები: X-286290,22; Y-4671846,72) 40 მ² ფართობზე მოეწყობა საწვავების (დიზელი, ბენზინი) შესანახი უბანი, სადაც განთავსდება 3 ცალი მიწისქვეშა რეზერვუარი, მათ შორის 2 ბენზინისათვის საერთო მოცულობით 19021 ლიტრი (14401+4620) და 1 დიზელის საწვავისათვის 24261 ლიტრი.

საცავები დამზადდება ორმაგი ლითონის ფურცლისაგან და შეიღებება სპეციალური ანტიკოროზიული საღებავით. საცავებზე დამონტაჟდება 6 მ სიმაღლის სასუნთქი მილები და აღიჭურვება ჩამკეტი კლაპანებით.

საცავებიდან საწვავები ტუმბოების მეშვეობით მიწისქვეშა მილებით მიეწოდება ჩამოსასხმელ დგარს, რომელიც განთავსდება ტერიტორიის ყველაზე აქტიურ-წინა ნაწილში (JPS-კოორდინატები: X-286264,01; Y-4671886,02). ჩამოსასხმელი დგარი (1 ცალი) აღიჭურვება 6 ცალი ჩასასხმელი ხორთუმით, რომელთაგან 4 განკუთვნილი იქნება ბენზინისათვის და 2 დიზელის საწვავისათვის. ხორთუმებზე მიერთებული იქნება ჩასასხმელი სპეციალური პისტოლეტები, რომლებსაც გააჩნიათ ჩამკეტი კლაპანები, რომელთა დანიშნულებაა ავტოტრანსპორტის ავსებული საცავიდან საწვავის გადმოღვრის თავიდან აცილება.

რაც შეეხება თხევადი გაზის სარეალიზაციო უბანს, ის განთავსდება ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში (JPS-კოორდინატები: X-286234,55; Y-4671884,67), სადაც დამონტაჟდება 1 ცალი, 8 ტონა მოცულობის თხევადი გაზის შესანახი მიწისზედა რეზერვუარი, არსებული კანონმდებლობების შესაბამისად.

თხევადი გაზით ავტოტრანსპორტის გამართვის მიზნით საცავის მიმდებარედ განთავსდება ერთი ჩამოსასხმელი დგარი, აღჭურვილი ერთი ჩასასხმელი ხორთუმით და პისტოლეტით.

ყველა ზემოთჩამოთვლილი უბნებისა და ცალკეული აგრეგატების მონტაჟს და შემდგომ მის ექსპლოატაციას განახორციელებს მოიჯარე კომპანია შპს „პიტსტოპ პეტროლეუმ“-ი. რაც შეეხება მეიჯარე კომპანიას შპს „გაზ ჯორჯიან“-ს საწარმოს ტერიტორიაზე მის საკუთრებაშია ბუნებრივი აირის სარეალიზაციო უბანი, არჭურვილი სათანადო კვანძებითა და ცალკეული აგრეგატებით.

ავტოგასამართ სადგურზე სარეალიზაციო საწვავის მიღება განხორციელდება კომპანიის კუთვნილი ავტოცისტერნებით. აღსანიშნავია, რომ საწვავის მიღებისას გათვალისწინებულია ავტოცისტერნის დაერთდება დამიწების ჭანჭიკზე და საწვავის მიღების პროცესის მხოლოდ აღნიშნული ქმედების შემდეგ დაწყება.

როგორც აღინიშნა, ჯამურად სამივე ავზი განკუთვნილი იქნება 43282 ლიტრი თხევადი საწვავის (დიზელი, ბენზინი) შესანახად. ავტოგასამართ სადგურზე წლის განმავლობაში დაგეგმილია 1000000 ლიტრი ბენზინისა და 100000 ლიტრი დიზელის რეალიზაცია. იმავდროულად საწარმო წლიურად რეალიზაციას გაუკეთებს 300 ტონა თხევად გაზს. ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმად განსაზღვრული წელიწადში 365 დღე, ხოლო სამუშაო საათების რაოდენობად - 24 სთ/დღე. ობიექტზე დასაქმდება 6 ადამიანი.

საპროექტო ტერიტორია 415 მეტრითაა დაშორებული უახლოეს დასახლებულ პუნქტიდან, 40 მეტრის რადიუსში გადის ბათუმი-ქუთაისის ავტომაგისტრალი. საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრში გაედინება მდინარე გუბასწყალი, ხოლო 310 მეტრში ფუნქციონირებს შპს „სოკარ ჯორჯია“-ს ავტოგასამართი სადგური.

3.3. ინფორმაცია საქმიანობის განსახორციელებელი ადგილის შესახებ - გარემოს ფონური მდგომარეობა და ზემოქმედების რისკები

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დოკუმენტში განხილულია შემდეგი სახის ზემოქმედებები/რისკები:

- ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე;
- ზემოქმედება წყლის გარემოზე;
- ზემოქმედება გრუნტის ხარისხზე;
- სოც. ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება;
- ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება;
- კუმულაციური ზემოქმედება.

საქმიანობიდან გამომდინარე და საწარმოს მდებარეობის გათვალისწინებით სკრინინგის ანგარიშში განხილული არ არის გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება. განხილვიდან ამოღებული ზემოქმედებები და ამოღების საფუძვლები მოცემულია ცხრილში 3.3.1

ზემოქმედების სახე	განხილვიდან ამოღების საფუძველი
მიწის საკუთრება და გამოყენება	საპროექტო საწარმოსთვის გამოყენებული ტერიტორია, რომლის რაოდენობა 500 მ ² –ია წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობს, რომელიც საპროექტო საწარმოს მიერ შპს „გაზ ჯორჯიან“-სგან აქვს აღებული იჯარით ყველა წესის დაცვით, ამიტომ მიწის საკუთრებასა და გამოყენების პირობებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე	საწარმოს განთავსების ტერიტორია მდებარეობს მდინარე გუბასწყალის მარჯვენა სანაპიროზე. ტერიტორია სწორი ზედაპირისა და საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რაიმე ნიშნები არ ფიქსირდება. გამომდინარე იქიდან რომ საწარმოს მშენებლობის პროცესი არ გულისხმობს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს და შენობა ნაგებობების მოწყობას, შესაბამისად, დიდი მოცულობის მიწის სამუშაოების შესრულება საჭიროებას არ წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით გეოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ტერიტორია გეოლოგიური თვალსაზრისით სტაბილურია და არც ექსპლუატაციის ეტაპზე, საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკი არ არსებობს.
ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე	საწარმოს განთავსების ტერიტორია წლების მანძილზე წარმოადგენდა სამრეწველო ტერიტორიას, სადაც განთავსებულია და ფუნქციონირებს შპს „გაზ ჯორჯიან“-ის ავტოგაზგასამართი სადგური, შესაბამისად ამისა, მასზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ გვხვდება, აქედან შეიძლება ითქვას, რომ ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მოსალოდნელი არ არის.
ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე	საწარმოს ექსპლუატაცია გამოიწვევს ლანდშაფტის უმნიშვნელო ადგილობრივ, ლოკალურ ცვლილებას. მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო საწარმოს ტერიტორიაზე და მის შემოგარენში გარკვეულ მანძილზე არის ტყით დაფარული ტერიტორიები, ტერიტორიაზე არ არის აღრიცხული დაცული და ჭრააკრძალული სახეობები. ასევე ლანდშაფტის ღირებული ელემენტები. საწარმოს ექსპლუატაციის შემდეგ ტექნოლოგიური პორცესები შემდგომში უნიშვლო გავლენას იქონიებს საწარმოს მიმდებარედ მოზინადრე მინდვრის მდნელებზე და ეტნოფაუნაზე.
ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	საქმიანობის სპეციფიკის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
ზემოქმედება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ტერიტორიაზე, რომელზედაც წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა შპს „გაზ ჯორჯიან“-ის ავტოგაზგასამართი სადგური, სადაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არსებობის ალბათობა პრაქტიკულად არ არსებობს. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პროცესში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

4. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

4.1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ხმაური

ავტოგასამართი სადგური დაპროექტებულია „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №11/2935 ბრძანებაში ასახული დებულების მოთხოვნების შესაბამისად. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებს წარმოადგენს შემდეგი ტექნოლოგიური პროცესები და

დანადგარები: თხევადი საწვავის (ბენზინი, დიზელი,) მიღება ავტოცისტერნებით, დროებითი შენახვა (მიწისქვეშა რეზერვუარებში) და მომხმარებლებზე გაცემა (საწვავსარიგებელი სვეტ-წერტილის მეშვეობით), იმავდროულად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს თხევადი გაზის სარეალიზაციო უბანი, კერძოდ, გაზის ჩასასხმელი დგარი.

ავტოგასამართი სადგურის ძირითადი მოწყობილობებია: თხევადი საწვავის (ბენზინი, დიზელი) საცავები-3 ერთეული, აღჭურვილი სასუნთქი სარქველებით, საწვავ-გამანაწილებელი ერთი სვეტი, აღჭურვილი 6 ჩასასხმელი ხორთუმით, რომელთაგან 4 განკუთვნილია ბენზინისათვის და 2 დიზელის საწვავისათვის. ასევე თხევადი გაზის უბანზე 1 დგარი, აძღურვილი ერთი ჩასასხმელი ხორთუმით.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი ექნება ავტოგასამართი სადგურის ძირითად უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის ექსპლუატაციისას გამოყოფილ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნახშირწყალბადები.

მავნე ნივთიერებების ემისიების მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღეღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში: 4.1.1

მავნე ნივთიერებათა		ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ ³		მავნეობის საშიშროების კლასი
დასახელება	კოდი	მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
1	2	3	4	5
ნახშირწყალბადები (ჯამურად)	2754	1,0	-	4
მეთანი	—	0,1	--	3
პროპანი	—	3	3	3
ბუთანი	—	200	—	4
ეთილმერკაპტანი	—	0,07	0,07	3

აღნიშნული ობიექტისათვის შესრულდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა

ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, რომელშიც სისტემატიზებულია ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის შედეგად არსებული ატმოსფერული ჰაერის სტაციონარული დაბინძურების წყაროების მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები.

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია ატმოსფეროში გაფრქვევის 5 სტაციონარული წყარო. მათ შორის 3 ორგანიზებული და 2 არაორგანიზებული. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის № 42 დადგენილების „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტი“-ს მე-5 მუხლის თანახმად ემისიის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშება შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით:

- უშუალოდ ინსტრუმენტული გაზომვებით;
- საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

წინამდებარე დოკუმენტში გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

4.1.1. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში დიზელის საწვავის რეალიზაციისას.

ტექნოლოგიურ პროცესში მავნე ნივთიერებათა აიროვანი გამონაფრქვევები გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება № 435-ის, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, რომლითაც (დანართი № 98) ერთ ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე საერთო კუთრი დანაკარგი (მიღება, შენახვა, გაცემა) შეადგენს 0,0025 გრ-ს. შესაბამისად წლიური დანაკარგი გამოითვლება დიზელის საწვავის წლიური მოცულობის (ლიტრებში) რეალიზაციის გამრავლებით კოეფიციენტზე - 0,0025. დიზელის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 1 000 000 ლიტრი/წელ. წლიური ემისია ტოლი იქნება:

$$G = 1\ 000\ 000 \text{ ლ/წელ} \times 0,0025 \text{ გ/ლ} \times 10^{-6} = 0,0025 \text{ ტ/წელ};$$

ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმის (24 სთ/დღე წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება:

$$\text{დიზელისათვის: } M = 0,0025 \times 10^6 / 365 \text{დღე} \times 24 \text{სთ} \times 3600 \text{წმ} = 0,00008 \text{ გ/წმ};$$

4.1.2. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში ბენზინის რეალიზაციისას

ტექნოლოგიურ პროცესში მავნე ნივთიერებათა აიროვანი გამონაფრქვევები გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება № 435-ის, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, რომლითაც (დანართი № 98) ერთ ლიტრ რეალიზებულ ბენზინისათვის საერთო კუთრი დანაკარგი (მიღება, შენახვა, გაცემა) შეადგენს 1,4 გრ-ს. შესაბამისად წლიური დანაკარგი გამოითვლება ბენზინის წლიური მოცულობის (ლიტრებში) რეალიზაციის გამრავლებით კოეფიციენტზე -1,4.

ბენზინის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 1 000 000 ლიტრი/წელ.

$$G = 1\ 000\ 000 \text{ ლ/წელ} \times 1,4 \text{ გ/ლ} \times 10^{-6} = 1,4 \text{ ტ/წელ};$$

ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმის (24 სთ/დღე წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება:

$$\text{ბენზინისთვის } M = 1,4 \times 10^6 / 365 \text{დღე} \times 24 \text{სთ} \times 3600 \text{წმ} = 0,044 \text{ გ/წმ};$$

4.1.3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში თხევადი გაზის რეალიზაციისას

საწარმოს დაგეგმილი აქვს წლიურად რეალიზაცია გაუკეთოს 300 ტონა თხევად გაზს.

მავნე ნივთიერებათა სახეობებია: ნახშირწყალბადები (მეთანი-%, პროპანი-75%, ბუთანი-21%) და ოდორანტი ეთილმერკაპტანი, რომლებიც ტექნოლოგიური დანაკარგების სახით გამოიყოფა თხევადი გაზის რეალიზაციის პროცესში.

ზემოთაღნიშნული მეთოდის თანახმად თხევადი აირით ავტოტრანსპორტის გამართვა (ნახშირწყალბადების-პროპან-ბუთანის სახით) შეადგენს 1,15 %-ს.

თხევადი გაზის ავტოსაცავში (ბაკში) ჩასხმისას ატმოსფერულ ჰაერში წლიურად გაიფრქვევა:

$300 \times 1,15/100 = 3,45$ ტონა ნახშირწყალბადები, მათ შორის:

მეთანი $3,45 \times 4/100 = 0,138$ ტ/წ

პროპანი $3,45 \times 75/100 = 2,587$ ტ/წ

ბუთანი $3,45 \times 21/100 = 0,724$ ტ/წ

საწარმოს მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით გაფრქვევების ინტენსივობა იქნება:

$3,45 \times 10^6/24 \times 365 \times 3600 = 0,109$ გრ/წმ, მათ შორის:

მეთანი $0,109 \times 4/100 = 0,004$ გრ/წმ

პროპანი $0,109 \times 75/100 = 0,082$ გრ/წმ

ბუთანი $0,109 \times 21/100 = 0,023$ გრ/წმ

იმის გათვალისწინებით, რომ 1 ტონა თხევად გაზას უმატებენ 80 გრამ ეთილმერკაპტანს, მისი გაფრქვევის რაოდენობა ტოლი იქნება:

$300 \times 80/10^6 = 0,024$ ტ/წ, ანუ

$0,024 \times 10^6/24 \times 365 \times 3600 = 0,0007$ გრ/წმ

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 5 სტაციონარული წყარო; ჯამური წლიური გაფრქვევა ნახშირწყალბადებისა შეადგენს 4,85 ტ. მ.შ: მეთანი-0,138 ტ; პროპანი-2,587ტ; ბუთანი-0,724; ეთილმერკაპტანი-0,024ტ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწვავის შესანახი რეზერვუარები განთავსებულია მიწის ზედაპირის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკს. ამასთანავე, რეზერვუარების თითოეული განყოფილება აღჭურვილია სასუნთქი მილებით და სარქველებით, ამიტომ ავტოგასამართი სადგურიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ემისის მცირე მოცულობისა და ფაქტიურად ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას და ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების მნიშვნელოვნება, შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

4.2. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება

დაგეგმილი საქმიანობის ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ზემოქმედების განსაზღვრისათვის ხმაურის გავრცელების გაანგარიშებები ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- განისაზღვრება ხმაურის წყაროები და მათი მახასიათებლები;
- შეირჩევა საანგარიშო წერტილები დასაცავი ტერიტორიის საზღვარზე;
- განისაზღვრება ხმაურის გავრცელების მიმართულება ხმაურის წყაროებიდან საანგარიშო წერტილებამდე და სრულდება გარემოს ელემენტების აკუსტიკური გაანგარიშებები, რომლებიც გავლენას ახდენს ხმაურის გავრცელებაზე (ბუნებრივი ეკრანები, მწვანე ნარგავი და ა.შ.);
- განისაზღვრება ხმაურის მოსალოდნელი დონე საანგარიშო წერტილებში და ხდება მისი შედარება ხმაურის დასაშვებ დონესთან;
- საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება ხმაურის დონის საჭირო შემცირების ღონისძიებები.

საამშენებლო ნორმებისა და წესების (СНиП) II-12-77 „ხმაურისაგან დაცვა“ მიხედვით ხმაურის წარმოქმნის უბანზე ხმაურის წყაროების დონეების შეჯამება ხდება ფორმულით:

$$10 \lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{pi}}$$

სადაც:

L_{pi} – არის i -ური ხმაურის წყაროს სიმძლავრე.

საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეების L -ს (დბა) განსაზღვრა ხდება საამშენებლო ნორმებისა და წესების (СНиП) II-12-77 „ხმაურისაგან დაცვა“ მიხედვით. საანგარიშოდ გამოიყენება ფორმულა:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \frac{\beta_d r}{1000} - 10 \lg \Omega$$

სადაც:

L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე;

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას; $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi/2$ – სამ წიბოიან კუთხეში;

βa – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

ცხრილი 4.2.1.

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, H3ც.	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
βa დბ/კმ	0	0.3	1.1	2.8	5.2	9.6	25	83

გათვლების შესასრულებლად გაკეთებულია შემდეგი დაშვებები:

1) თუ ერთ უბანზე განლაგებულ რამდენიმე ხმაურის წყაროს შორის მანძილი გაცილებით ნაკლებია საანგარიშო წერტილამდე მანძილისა, წყაროები გაერთიანებულია ერთ ჯგუფში. მათი ჯამური ხმაურის დონე დათვლილია ზემოთ მოცემული ფორმულით;

2) ერთ ჯგუფში გაერთიანებული წყაროების ხმაურის ჯამური დონის გავრცელების შესაფასებლად საანგარიშო წერტილამდე მანძილად აღებულია მათი გეომეტრიული ცენტრიდან დაშორება;

3) სიმარტივისთვის გათვლები შესრულებულია ბგერის ექვივალენტური დონეებისთვის (დბა) და ატმოსფეროში ბგერის ჩაქრობის კოეფიციენტად აღებულია მისი ოქტავური მაჩვენებლების გასაშუალოებული სიდიდე: β_{საშ}=15,9 დბ/კმ;

საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს საწარმოს ტერიტორიაზე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა და ტექნოლოგიური პროცესების შესრულება.

ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის ძირითად წყაროებად ჩაითვალა სატრანსპორტო ოპერაციებისთვის გამოყენებული და ტექნოლოგიური პროცესების შესრულებაში მონაწილე საწვავის მარიგებელი სვეტები და სხვა დანადგარები.

საპასპორტო და საცნობარო მონაცემებით, ცალკეული დანადგარების ხმაურის მაქსიმალური დონე არ აღემატება 85 დბა-ს. ამის გათვალისწინებით, საამშენებლო ნორმებისა და წესების (СНиП) II-12-77 „ხმაურისაგან დაცვა“ მიხედვით, ყველა ამ დანადგარის ერთდროული მუშაობისას საწარმოო ტერიტორიაზე ხმაურის ჯამური დონე შეადგენს:

$$10 \lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{pi}} = L_{p0} + 10 \lg n = 85 \text{დბა} + \lg 5 = 85 + 0,7 \approx 85,7 \text{ დბა.}$$

საწარმოო ტერიტორიაზე ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების სქემის მიხედვით, ხმაურწარმომქმნელი წყაროების გეომეტრიული ცენტრიდან უახლოესი საცხოვრებელი ზონა დაცილებულია დაახლოებით 310 მ-ით.

საანგარიშო წერტილებში ხმაურის დონეები იქნება:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \frac{\beta_a r}{1000} - 10 \lg \Omega = 85,7 - 15 * \lg 310 + 10 * \lg 2 - 15,9 * 310 / 1000 - 10 * \lg 2 \pi =$$

85,7 – 38,7+3,0 – 3,98- 6,04 =39,98 დბა

გათვლების მიხედვით საწარმოს ოპერირების შედეგად დასახლებული პუნქტის საზღვარზე ხმაურის დონე არ აჭარბებს როგორც დღის საათებისთვის დადგენილი ნორმებს (50 დბა), ასევე ღამის საათებისთვის დადგენილ ნორმებს (40 დბა).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაანგარიშებები ჩატარებულია ყველაზე უარესი სცენარით. ანუ გაანგარიშებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ის გარემოებები, რაც ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ უარყოფითი ზემოქმედების რისკებს კიდევ უფრო ამცირებს, ხოლო მოსახლეობაზე ზემოქმედებას გამორიცხავს, კერძოდ:

- ტექნოლოგიური პროცესების შესრულებაში გამოყენებულია საუკეთესო აკუსტიკური მახასიათებლის დანადგარები;
- ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების ერთდროული მუშაობა ნაკლებ სავარაუდოა. ასეთ შემთხვევაშიც კი ის არ იქნება ხანგრძლივი პროცესი;
- გაანგარიშებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ხმაურის წყაროებსა და საანგარიშო წერტილს შორის არსებული ბუნებრივი და ხელოვნური ეკრანები, რომლებიც ხმაურის გავრცელებას კიდევ უფრო შეამცირებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში მოსახლეობაზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების მნიშვნელოვნება, შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

4.3. ზემოქმედება წყლის გარემოზე;

„ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესები“-ს შესაბამისად განსაზღვრულია რომ ავტოგასამართი სადგური აღჭურვილი უნდა იყოს წყალმომარაგების სისტემით და სანიაღვრე კანალიზაციით. კანალიზაციის ჭების სისუფთავეზე დაწესებულ უნდა იქნეს კონტროლი, რათა გამოირიცხოს მათი გასასვლელების დაღამვა. გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.

ვინაიდან საწარმოს სიახლოვეს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელები არ არსებობს, ამიტომ ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისთვის საჭირო წყალაღება განხორციელდება შპს „გაზ ჯორჯიან“-ის კუთვნილი ლიცენზირებული ჭაბურღილიდან (ლიცენზია N1001997 თანდართულია) სათანდო შეთანხმების საფუძველზე.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის და სახანძრო უსაფრთხოებისთვის.

4.4. ჩამდინარე წყლების არინება

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების შეგროვება მოხდება კომპანიის ტერიტორიაზე მოწყობილ ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმოში, რომლის განტვირთვა ხდება შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით მათი რაოდენობა დღეში 0.675 მ³, ხოლო წელ/ში 189.0 მ³-ია.

რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, რომლებიც სავარაუდოდ დაბინძურებული იქნება შეწონილი ნაწილაკებითა და ნავთობპროდუქტებით, ისინი ორგანიზებულად გაიყვანება საწარმოს ტერიტორიიდან არხით და მათი ჩაშვება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ 3 სექციან სალექარში, რომელზეც დამატებით მოეწყობა ნავთობდამჭერი. მათი რაოდენობა არსებული რეკომენდაციების მიხედვით ტოლი იქნება:

$$Q = 10 \times F \times K \times H_{\text{საშ.დღ.დ}}$$

სადაც: Q - სანიაღვრე წყლები, მ³ დღ.დ.

F - ტერიტორიის ფართობი, ჰა.

H - ნალექების საშუალო დღე.

K - კოეფიციენტი, რომელიც საფარის ტიპზეა დამოკიდებული და ამ შემთხვევაში მისი მონაცემი 0.8-ია.

$$H_{\text{საშ.დღ.დ}} = Y / W$$

სადაც: Y - წლიური ნალექები

W - ნალექიან დღეთა რაოდენობა

საანგარიშო ფართი, საიდანაც ხდება წვიმის შეგროვება და ორგანიზებული გაყვანა – 500 მ²-ია, ანუ 0.05 ჰა.

ქ. სამტრედიის ნალექების საშუალო დღე-ღამური რაოდენობა 560 მმ-ია.

ნალექების დღეთა რაოდენობა საშუალოდ 80-ია. გამომდინარე აქედან:

$$H_{\text{საშ.დღ.დ}} = 560 : 80 = 7,0 \text{ მმ, გამომდინარე აქედან:}$$

$$Q_{\text{დღ}} = 10 \times 0.05 \times 7 \times 0.8 = 2,8 \text{ მ}^3$$

$$Q_{\text{წლ}} = 2,8 \times 80 = 224 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ წვიმის ხანგრძლიობა წვიმიან ამინდებში საშუალოდ 10 საათი იყო, მაშინ

$$Q_{\text{სთ}} = 224 : 80 : 10 = 0.28 \text{ მ}^3/\text{სთ}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ წვიმის დაწყებიდან სანიაღვრე წყლების გაწმენდა საჭიროა პირველი 30 წთ-ის განმავლობაში, მაშინ სანიაღვრე წყლის ხარჯი, რომელიც ექვემდებარება გაწმენდას, ტოლი იქნება:

$$Q_{\text{სთ}} = 0.28 \times 0.5 = 0.14 \text{ მ}^3/\text{სთ}$$

4.5. სალექარის დახასიათება.

საწარმოში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები დაბინძურებულია როგორც შეწონილი ნაწილაკებით, ასევე ნავთობპროდუქტებით.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან აუცილებელია მოეწყოს ტერიტორიაზე ისეთი სალექარი რომელიც შეწონილი ნაწილაკების დაჭერას მოახდენს მექანიკური დალექვის მეთოდით, ხოლო ჩამდინარე წყლებში ნავთობპროდუქტების მოხვედრის შემთხვევაში მისი დაჭერა მოხდება (ამოტივტივების მეთოდი) ნავთობდამჭერში.

